

ენობრივი სიტუაცია ესპანეთში და ტერმინოლოგიის საკითხები

ცნობილია, რომ ფრანკოს რეჟიმის შემდეგ გარკვეულმა ენობრივმა პოლიტიკამ, ერთი მხრივ, უზრუნველყო ესპანეთის „ძლიერი ენის“ – კასტილიურის – სტაბილურობა და ხელი შეუწყო მის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ნაკლებად გამოყენებული ენების (კატალონიური, გალიციური, ბასკური და სხვა) აღორძინებას. სამართლებრივი და ინსტიტუციური თვალსაზრისით ენობრივ სურათს დღევანდელ ესპანეთში ორი ძირეული ფაქტორი განსაზღვრავს: კონსტიტუცია აღიარებს ესპანეთის ენისა და კულტურის მრავალფეროვან ხასიათს და ესპანეთმა შეიძინა ავტონომიურ საზოგადოებებზე/თემებზე დაფუძნებული სტრუქტურა, გამოიყენა რა კონსტიტუციით შეთავაზებული შესაძლებლობა.

ენობრივი პოლიტიკა თავისუფალია საკუთარი საზღვრების დადგენისას, მაგრამ ყოველთვის აუცილებელია ინფორმაციის რომელიმე გარკვეული ნაწილის აღება საწყის წერტილად. ენის დაკნინებულ მდგომარეობას ყოველთვის განაპირობებს სხვა უფრო ძლიერი ენის არსებობა, რომელიც უპირატესად გამოიყენება სპეციფიკურ სიტუაციებში და გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომაც განსაზღვრო აღორძინების/აღდგენის მიზნები იგივეა, რაც განსაზღვრო ორივე ენის როლი სხვადასხვა საზოგადოებრივ ვითარებაში მას შემდეგ, რაც აღდგენა მიღწეული იქნება (მ. სიგუანი, 1992).

ენისა და კულტურის მრავალფეროვნება ისტორიულად ახასიათებდა ესპანეთს. თანამედროვე ესპანეთის სახელმწიფო ენა არის კასტილიური (ესპანური), ზოგ ავტონომიაში ესპანურთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს კატალონიური, ვალენსიური (კატალონიურის ნაირსახეობა), გალიციური, ბასკური ენებიც.

კასტილიურის სტანდარტიზაციის მცდელობა შუა საუკუნეებში იწყება, რაც დაკავშირებულია კასტილიის მეფე ალფონსო X-ის სახელთან. ამერიკის ქვეყნებში საერთო ენის ჩამოყალიბება 1770 წელს ჩარლზ III-ის ბრძანებას უკავშირდებოდა, რომლის მიხედვითაც, საგანგებოდ დაკანონდა ესპანურის გამოყენება ამერიკაში (გონსალესი, 1978).

მე-18 საუკუნეში შეიქმნა ესპანური ენის სამეფო აკადემია – ენის სიწმინდის დაცვის პასუხისმგებლობით. ამ პერიოდში სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი განაპირობებს ლექსიკონების უწყვეტ განახლებას ახალი ცხოვრების შესაბამისად. დღის წესრიგში დგება ენის მოწესრიგების, დახვეწის, გამარტივების, გაუმჯობესების მოთხოვნა. საფრანგეთის მსგავსად, მე-18 საუკუნეში ეპოქის მოთხოვნების საპასუხოდ შექმნილი ესპანური ენის სამეფო აკადემიის შემადგენლობაში შევიდნენ სწავლულები, რომლებმაც შეძლეს ურთიერთშეთანხმებით შეექმნათ გამართული ენობრივი სისტემა, დაენერგათ ზეპირი და წერილობითი ენის ძირეული განზომილებების შიგნით წესები, რომლებიც პრაქტიკულად დღემდე ცვლილების გარეშე შენარჩუნდა. სახელმწიფოს მხარდაჭერით აკადემიის შექმნა (ისევე, როგორც საფრანგეთში) ნიშნავს იმ მნიშვნელობის აღიარებას, რომელსაც ხელისუფლება ანიჭებს ენას. ამასთანავე, გულისხმობს აკადემიის მიერ შექმნილი სტანდარტის მიმართ სახელმწიფო, სახალხო და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და აცხადებს მზაობას დაიცვას ეს სტანდარტები და ხელი შეეწყოს მათ დანერგვას საგანმანათლებლო სისტემაში. საფრანგეთისა და ესპანეთის მსგავს ქვეყნებში, სადაც ძირითადი, ოფიციალური ენების გვერდით არსებობენ რეგიონალური ენები, აკადემიის შექმნა ახალისებს ენის წესების დამკვიდრებას. ამ მხრივ ესპანურისა და ფრანგულის მდგომარეობა განსხვავებული იყო ინგლისურისაგან, რომლისთვისაც არ არსებობდა ენობრივ სტანდარტებზე პასუხისმგებელი ოფიციალურად აღიარებული ინსტიტუცია. ინგლისურის ენობრივი სტანდარტი გულისხმობდა შეთანხმებას სახელგანთქმულ ლინგვისტებსა და რედაქტორებს შორის, რომლებიც ძირითადად ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების გამოცემების გრამატიკულ წიგნებსა და ლექსიკონებს ეყრდნობიან (სიგუანი 1992: 101). მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ხშირად იყო კრიტიკის საგანი, მისი ავტორიტეტი ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა. ის ამოცანა, რომელიც მიაღწევს აკადემიას და შეჯამებულია შემდეგ დევიზში – „წმენდს, ასუფთავებს, აწესრიგებს და ბრწყინვალეობას ანიჭებს ბრილიანტებს“, შეიცავს სამ ძირითად ასპექტს: ენის წესებისა და სიწმინდის დაცვა, ლექსიკონების განახლება.

1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციამ კასტილიური სახელმწიფოს ოფიციალურ ენად გამოაცხადა, მაგრამ მან ასევე დაუშვა, რომ კატალონიური, ბასკური და გალიციური თანაოფიციალური ენები ყოფილიყო შესაბამის რეგიონებში.

ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი ამგვარად ცნობს მათ ოფიციალურ სტატუსს:

3.1 კასტილიური არის სახელმწიფოს ოფიციალური ესპანური ენა. ყველა ესპანელის მოვალეობაა, იცოდეს იგი და ყველა ესპანელს აქვს მისი გამოყენების უფლება;

3.2 ესპანეთის სხვა ენები ასევე იქნება ოფიციალური თავიანთ შესაბამის თვითმმართველ საზოგადოებებში, მათი სტატუსის შესატყვისად;

3.3 ესპანეთის ენობრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება ის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც იქნება განსაკუთრებული პატივისცემისა და დაცვის ობიექტი/საგანი (ესპანეთის კონსტიტუცია (1978) [http:// www. Constitucion.es/constitucion/index.html](http://www.Constitucion.es/constitucion/index.html)).

კასტილიურის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ენაა კატალონიური, რომელიც ესპანეთის ავტონომიებში სხვადასხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი.

კატალონიის ავტონომიის კანონმდებლობის მესამე მუხლი:

1. კატალონიის საკუთარი ენა არის კატალონიური;
2. კატალონიური ენა არის ოფიციალური კატალონიაში ისევე, როგორც კასტილიური, მთელი სახელმწიფოს ოფიციალური ენა;

3. მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ოფიციალური და ნორმალური გამოყენებისა, მიიღოს აუცილებელი ზომები მათი შესწავლისათვის და შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ სრულ თანასწორუფლებიანობას კატალონიის მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით.

დღეისათვის კატალონიური ფართოდ გავრცელებული ენაა საგანმანათლებლო სისტემაში, მასმედიასა და ცხოვრების ყველა სფეროში.

1983 წლიდან მოქმედებს „კატალონიის ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“ („Linguistic Normalization in Catalonia Law“). თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით კატალონიაში კასტილიურზე მაღალ ვარიანტად კატალონიური ითვლება.

ბალეარის კუნძულების ოფიციალური ენა კასტილიურთან ერთად არის კატალონიური.

მუხლი 3

1. კატალონიურ ენას, ბალეარის კუნძულების ენას, მიენიჭოს ოფიციალური ენის სტატუსი ისევე, 2 როგორც კასტილიურს, და

ცოდნისა და გამოყენების უფლება. ენის გამო ვინმეს უფლების შელახვა დაუშვებელია.

მუხლი 14

კატალონიური ენის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც კუნძულზე გამოიყენება, იქნება შესწავლისა და დაცვის საგანი ენის მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად.

კატალონიურის ადგილობრივი ვარიანტები ყველა კუნძულზე განსხვავებულია. მოსახლეობის უმეტესობისათვის იგი მშობლიური ენაა. დღეს ტურიზმის ინტენსიური განვითარება ბალეარის კუნძულებზე იწვევს ემიგრანტი მუშახელის და მომსახურე პერსონალის, ასევე უცხოელი რეზიდენტების მასობრივ შედინებას. 1986 წლიდან ბალეარიკის კუნძულებზე მოქმედებს „ბალეარის კუნძულების ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“ („Balearic Islands Linguistic Normalization Law“).

ვალენსიის ავტონომიაში კასტილიურთან ერთად ოფიციალური ენაა ვალენსიური. ავტონომიის კანონმდებლობა გვაუწყებს:

მუხლი 12

1 ავტონომიური თემის ორი ოფიციალური ენა არის ვალენსიური და კასტილიური. ყველას აქვს უფლება იცოდეს და გამოიყენოს ისინი;

2 ვალენსიის მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ნორმალური და ოფიციალური გამოყენებისა და უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მათი ცოდნის უზრუნველსაყოფად;

3. ენის გამო ვინმეს უფლების შელახვა დაუშვებელია;

4. უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო დაცვა და პატივისცემა ვალენსიური ენის ასაღორძინებლად;

5. კანონი დააწესებს თემის ენის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო გამოყენების კრიტერიუმებს;

6. კანონი დაადგენს იმ ტერიტორიებს, სადაც ესა თუ ის ენა გამოიყენება, ასევე იმ შემთხვევებსაც, როცა დასაშვებია საკუთარი ენის არცოდნა და გამოუყენებლობა.

ვალენსიური ენის ბუნება და მისი, როგორც კატალონიურის ერთ-ერთი ვარიანტის, დადგენა წარმოქმნის გარკვეულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისათვის მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ამ ენას საზოგადოება ნაკლებად იყენებდა, ქალაქებსა და საზოგადოების მაღალ წრეებში მასზე აღარ საუბრობდნენ. ვალენსიურის დამკვიდრებასა და გაძლიერებას ხელს უწყობს 1983 წელს ამოქმედებული

ლი კანონი „კანონი ვალენსიური ენის გამოყენებისა და სწავლების შესახებ“ („Law on the Use and teaching of Valencian“).

გალიციური გავრცელებულია ესპანეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, გალიციაში.

გალიციის ავტონომიის კანონმდებლობის პრეამბულის მე-5 მუხლი ნათლად განსაზღვრავს რეგიონის ენობრივ მისწრაფებებს:

1. გალიციური არის გალიციის ავტოქთონური ენა;
2. გალიციური და კასტილიური წარმოადგენს გალიციის ოფიციალურ ენებს და ყველას აქვს მათი შესწავლისა და გამოყენების უფლება;
3. გალიციის ხელისუფლება უზრუნველყოფს ორივე ენის ნორმალურ და ოფიციალურ გამოყენებას და ხელს შეუწყობს გალიციურის გამოყენებას საზოგადოებრივი/საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში კულტურის, ხელოვნებისა და ინფორმაციული სისტემების საშუალებით და ასევე, მიმართავს ყველა აუცილებელ საშუალებას მისი შესწავლის ხელშეწყობისათვის;

4. ენის გამო ვინმეს უფლების შელახვა დაუშვებელია

გალიცია არის თემი/საზოგადოება, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მშობლიური ენა გალიციურია. გალიცია საუკუნეებია, ემიგრაციის რეგიონია და არა იმიგრაციისა. მართალია, ძალიან ბევრი ადამიანი ამბობს, რომ იცის ენა, მაგრამ გალიციურს იშვიათად იყენებს საზოგადოება, მისი გამოყენება ასოცირდებოდა სიღარიბესა და გაუნათლებლობასთან, თუმცა ეს ვითარება გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიცვალა. 1983 წლიდან გალიციაში მოქმედებს „გალიციის ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“ („Galician Linguistic Normalization Laws“).

ბასკურიც თანაოფიციალური ენაა ბასკეთის ავტონომიურ თემში. თუმცა, გარდა ესპანეთის ბასკეთისა, ბასკურად მეტყველებენ საფრანგეთის ბასკეთშიც (იპარალდე).

ბასკეთის ავტონომიის კანონმდებლობის მე-6 მუხლი გვაუწყებს:

1. ეუსკარას (ბასკური) ბასკეთის საკუთარ ენას, კასტილიურთან ერთად, მიენიჭოს ეუსკადის ოფიციალური ენის სტატუსი, ხოლო ქვეყნის ყველა მოსახლეს - ორივე ენის ცოდნისა და გამოყენების უფლება;
2. ავტონომიური თემის საჯარო ინსტიტუტებმა, ბასკეთის სოციოლინგვისტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, უნდა

უზრუნველყონ ორივე ენის გამოყენება, დაამკვიდრონ და მიიღონ სათანადო ზომები მათ შესასწავლად;

3. ენის გამო ვინმეს უფლების შელახვა დაუშვებელია

4. ბასკეთის ენათა სამეფო აკადემია (Euskaltzaindia) წარმოადგენს ოფიციალურ საკონსულტაციო დაწესებულებას ყველა საკითხში, რომლებიც ბასკურ ენას შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ბასკეთში ეროვნული თვითშეგნება ძალიან ძლიერია, ენის ცოდნა შედარებით ყველაზე დაბალია. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ისტორიის განმავლობაში ბასკეთის გეოგრაფიული საზღვარი თანდათანობით მცირდებოდა და თავად ბასკეთშიც არის ისეთი საგრაფოები, სადაც ბასკურად საუკუნეებია აღარ ლაპარაკობენ. მე-20 საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა საყოველთაოდ მიღებული სტანდარტი, როგორც წერილობითი მოდელი ლიტერატურისა და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. მეორეც, ის წარმოადგენდა უმცირესობის ენას მნიშვნელოვანი დიალექტებით (სულ ცოტა 8 დიალექტი) ცალკეულ სოფლებში. აკლდა სწორი ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმარების მცდელობა. ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ კასტილიური და ბასკური ძალიან განსხვავებული ენებია და ამიტომაც მათი ათვისება იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ამ ენაზე არ აღზრდილან, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რაც ართულებს აღორძინების პროექტების განხორციელებას (მოლინერო 1997, 2000). 1982 წლიდან ბასკეთში ამოქმედდა „ბასკური ენის გამოყენების ნორმალიზაციის კანონი“ („Basque language use Normalization Law“). გალიციურის მსგავსად, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბოლო რამდენიმე წელიწადში უდავოდ შეიმჩნევა წინსვლა.

ბასკური შემორჩენილია ასევე ნავარის ჩრდილოეთით.

ნავარის რეგიონალური კანონმდებლობის მეცხრე მუხლი განმარტავს:

1. ნავარის ოფიციალური ენა არის კასტილიური;

2. ბასკურსაც მიენიჭოს ოფიციალური ენის სტატუსი ნავარის ბასკურენოვან მხარეებში. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელია ეს მხარეები/ოლქები, უზრუნველყოფს ბასკურის ოფიციალურ გამოყენებასა და ზოგადსახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე ამ ენის გავრცელებას.

1986 წელს ნავარში ამოქმედდა „ბასკური ენის კანონი რეგიონალურ კანონმდებლობასთან მიმართებით“ („Basque Language Law

drawn up in relation to the Regional Law“), რამაც კიდევ უფრო წაახალისა ბასკურის განვითარება ამ მხარეში.

ესპანეთში გავრცელებულია სხვა ენებიც, რომელთაც ოფიციალური სტატუსი ჯერ არ მოუპოვებიათ. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში განხილვის საგანია ენათა სახელწოდებები და რაოდენობაც კი. მაგალითად, არანეზული (გასკონური დიალექტი) გამოიყენება არანის ხეობაში, ასტურიული (bable) და არაგონული განიხილება, როგორც ესპანურისაგან დამოუკიდებელი ენები და თანამედროვე ესპანეთში იქმნება მათი გრამატიკა და ლექსიკონები (მოლინერო 1997, 2000).

ასტურიის ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობა განმარტავს:

მუხლი 4

ასტურიული იქნება დაცული, ხოლო მისი გავრცელება მასმედიაში და განათლების სისტემაში – წახალისებული. ყველამ პატივი უნდა სცეს მის ადგილობრივ ვარიანტებს ისევე, როგორც მისი ნებაყოფლობითი შესწავლის უფლებას.

ასევე არაგონის ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობა გვაუწყებს:

მუხლი 7

არაგონულის ენობრივი ნაირსახეობანი დაცული იქნება, როგორც რეგიონის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილი.

ანდალუზია (ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობა)

მუხლი 12

3. ავტონომიური თემი გამოიყენებს თავის ძალაუფლებას შემდეგი ძირითადი მიზნების მისაღწევად: ანდალუზიელი ხალხის მდიდარი და ნაირსახოვანი ისტორიული, კულტურული და ენობრივი ფასეულობების კვლევის, გავრცელებისა და შემეცნების საშუალებით ანდალუზიელთა თვითშეგნების განმტკიცებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ესპანეთში ოფიციალურ ენათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს.

მიზანი სხვადასხვა ავტონომიური თემის ლინგვისტური კანონებისა (ნავარის გარდა) გახლავთ შემდეგი:

1. მოცემული კერძო ენა არის ამ თემის ისტორიული კავშირისა და იდენტობის ნიშანი;

2 ენის დამცირებულ სიტუაციაში ყოფნის საკომპენსაციოდ მიღებულია გადაწყვეტილება მისი ცოდნის და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობისა მანამ, სანამ არ მიიღწევა ენის ნორმალური გამოყენება. აქედან მომდინარეობს ტერმინი „ნორმალიზაცია“, რომელიც კანონთა უმრავლესობაში გამოიყენება ხელშეწყობის პროცესის აღსაწერად (სიტყვა „სტანდარტიზაცია“ ტრადიციულად გამოიყენება იმ გადაწყვეტილებათა წყების აღსანიშნად, რომელიც განსაზღვრავს და აწესებს გრამატიკის, ლექსიკონის, ორთოგრაფიის ნორმებს. რამდენიმე ხნის წინ კატალონიაში დაიწყო ტერმინ „ნორმალიზაციის“ გამოყენება იმ პროცესის აღსანიშნად, რომლითაც ენა ისტორიის გარკვეულ მომენტში (მეორე, უფრო ძლიერი ენის არსებობისას თავად რომ მარგინალური გახდა) ცდილობს საკუთარი საზოგადოებრივი ფუნქციის, პრესტიჟისა და საყოველთაო გამოყენების აღდგენას. ამ ახალი აზრით, „ნორმალიზაციას“ საერთო არაფერი აქვს ენის ნორმებთან, რომლებსაც კატალონიურად ახლა „ნორმატივიზაცია“ (ინგლ. სტანდარტიზაცია) ეწოდება. ის უკავშირდება ენის ნორმალურ სოციალურ გამოყენებას. ანგლოსაქსურ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, იგი შეესაბამება „კოდის დაგეგმარებას“, ხოლო „ნორმალიზაცია“ შეესაბამება „სტატუსის დაგეგმარებას“. ეს ნეოლოგიზმი მოიწონეს და მიიღეს ესპანეთში. ამრიგად, სიტყვა „ნორმალიზაცია“ გამოყენებას უკავშირდება და არა ნორმას.

ნორმალიზაციის პროცესის საბოლოო მიზანია ორი ენის სრული თანოფიციალურობა, განზოგადებული ბილინგვიზმის დაცვა და ხელშეწყობა (მურსია, როთმანი, 2008).

ამდენად, ნორმალიზაციის კანონების ძირითადი სამოქმედო ორიენტირია ენის რამდენიმე საკითხი:

1. ენა, როგორც სახელმწიფოებრიობის ნიშანი;
2. ენის გამოყენება მთავრობასა და ადმინისტრაციაში;
3. ენა განათლებაში;
4. ენა კულტურაში;
5. ენა – საურთიერთო საშუალება;
6. ენის ცოდნა და გამოყენება საზოგადოდ;
7. ენობრივი წესების განსაზღვრა;
8. ენობრივი პოლიტიკის მართვა.

კანონთა უმეტესობა შეიცავს მითითებებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებზეც, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კანონის შესრულებაზე. ეს ადმინისტრაციული ორგანოებია:

კატალონიაში: ლინგვისტური პოლიტიკის გენერალური დირექტორატი, რომელიც არის კატალონიის კულტურის განყოფილების ნაწილი. ლინგვისტურ სტანდარტებზე პასუხისმგებლობა ენიჭება კატალონიის შემსწავლელ ინსტიტუტს, ანუ ის ასრულებს იმავე ფუნქციას, როგორსაც სამეფო ენის აკადემიები სხვა ენების მიმართ. კატალონიაში არსებობს ენციკლოპედიური ფონდი, რომელიც სცემს ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს. 1985 წელს დაარსდა ე. წ. ტემპერდი, რომლის მთავარი მიზანია, დაადგინოს სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგია.

ვალენსიაში: ვალენსიური ენის გამოყენების ბიურო. ვალენსიის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ნაწილი.

გალიციაში: ენობრივი პოლიტიკის გენერალური დირექტორატი, რომელიც არის გალიციის მთავრობის განათლების დეპარტამენტის ნაწილი.

ბასკეთში: ლინგვისტური პოლიტიკის გენერალური დირექტორატი.

რადგანაც ბასკური და გალიციური თითქმის არ გამოიყენებოდა სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებში, აუცილებელი იყო მათი გაცოცხლება, რაც, ძირითადად, ახალი ლექსიკონების მომზადებით გამოიხატება (მიჩელენა 1982). ბასკური ენის გამდიდრება, ძირითადად, ეფუძნება ბერძნულ-ლათინურ, ხოლო გალიციურისა კი – პორტუგალიურ-გალიციურ ლექსიკას.

ლიტერატურა

გონსალესი 1978 – Gonzalez Olle (1978), El establecimiento del castellanocomo Lengua official, Barcelona de la Real Academia LXV

მარ-მოლინერო 1997 – Mar-Molinero Clare (1997), The Spanish Speaking World, A Practical introduction to sociolinguistic issues, Clare Mar-Molinero Routledge London and new York

მარ-მოლინერო 2000 – Mar-Molinero Clare (2000), The Politics of Language in the Spanish-Speaking World, , London and New York

სიგუანი 1992 – Siguan M (1992), Multilingual Spain, European studies on Multilingualism 2.

მიჩელენა ლ. (1982) – Michelena L. Normalization de la forma escrita de una lengua: the case of Basque, Recobid. Revista de Occidente. Num.10-11, February

მურსია მ. როთმანი ჯ. (2008) – Bilingualism and Identity, Spanish at the crossroads with other languages, Edited by Mercedes Nino-Murcia, Jason Rothman, The university of Iowa, John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia.

Tamar Lomtadze

Linguistic Situation in Spain and Terminology Issues

Summary

Multilingualism and multiculturalism have been historically characteristic to Spain. According to 1978 constitution, Castilian was considered as an official state language, but the constitution also provided that Catalan, Basque and Galician would be co-official languages in the respective regions.

Spanish constitution, admitting multilingual and multicultural character of the country, on the one hand, ensures stability and expansion of the dominant Castilian language and, on the other, stimulates and facilitates the revival of the less frequently spoken languages (Catalan, Galician, Basque, etc.).

There are some other languages spoken in Spain that have not been given an official status yet. In some cases the names and even number/quantity of languages are subjects to discussion and argument. For instance, Asturian (bable) and Aragonese are viewed as independent languages and their grammars and dictionaries are being published in modern-day Spain.

Language normalization laws have been passed to support regional languages. The majority of these laws also contain instructions to the administrative bodies responsible for the implementation of the law.